MAC GEORGIA

ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამით მოსარგებლე?

დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები (7 წლის შესრულების თვის ჩათვლით,ამასთან, 7 წლის შესრულებამდე დარჩენილი უნდა იყოს სულ მცირე 8 თვე), რომლებსაც აქვთ ექიმის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება, შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია სამედიცინო ფორმა №IV-100/ა-ით. (სახელმწიფო პროგრამის დანართში მოცემული ICD-10-ის დიაგნოზებით).

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია, როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი;
- კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში - დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, ხოლო მინდობითი აღზრდის შემთხვევაში მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №IV-100/ა). ფორმა №IV-100/ა-ის აღება რეკომენდებულია პროგრამაში ჩართვამდე **არაუადრესს 30 კალენდარული დღის.**

შენიშვნა: პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო მოგცემთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებსა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას გაგაცნობთ სოციალური მუშაკი.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

პროგრამის მიზანია:

ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია.

პროგრამა მოიცავს:

» დაბადებიდან 3 წლამდე და საჭიროების შემთხვევაში, შვიდ წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას. მომსახურების დაგეგმვასა და ბუნებრივ გარემოში მიწოდებას. იდენტიფიცირებული ბავშვების კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა, განვითარების შეფერხების პრევენცია , მიტოვების პრევენცია, ასევე, მათი მშობლების განათლება და გაძლიერება ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში.

» **3 წლამდე ასაკის ბავშვების** ინდივიდუალურ მომსახურებას ბუნებრივ გარემოში, ოჯახის პირობებში მშობლების/ძირითადი მომვლელების მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს ბავშვებთან და მათ მშობლებთან ჯგუფური მუშაობა (არაუმეტეს 2 ჯგუფური მუშაობა თვეში); მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

» მშობლობის უნარ-ჩვევების განვითარებას შემდეგ საკითხებში: ბავშვის მოვლა; ჰიგიენა; კვება; ძილი; თამაში და სხვა რუტინულ აქტივობებში; პოზიტიური მშობლობა; ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას; ოჯახის ჯანსაღი ფუნქციონირების ხელშეწყობას

» საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის დამატებითი დიაგნოსტირების საჭიროებაზე აღმზრდელების ინფორმირებას და გადამისამართებას;

» საჭიროების შემთხვევაში სხვა ხელმისაწვდომ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

- მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების/ძირითადი მომვლელების/მინდობით აღმზრდელების ინფორმირებას ძალადობის ფორმებსა და ბავშვთა უფლებებზე, საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირების უზრუნველყოფას;

- მშობიარობის შემდგომი სტრესის აღმოჩენას, ბავშვის დიაგნოზთან შეგუების მიღებაში მხარდაჭერასა და საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას შესაბამის სერვისებში;

- ბავშვის ბაგა-ბაღში შეყვანამდე 6 თვით ადრე ტრანზიციის პროცესის დაწყებას;

- ბავშვის ბაგა-ბაღში სრულფასოვანი ჩართულობის და ინკლუზიის მხარდაჭრას სპეციალისტის ადგილზე ვიზიტების, ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ აღმზრდელების ინფორმირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობასა და ბავშვის ჯგუფურ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობით, საჭიროების შემთხვევაში ბაღის პერსონალსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს/ძირითადი მომვლელებს/მინდობით აღმზრდელებს შორის კომუნიკაციის ფასილიტაციას;

- იმ შემთხვევაში თუ ბავშვი სხვადასხვა მომსახურებაშია ჩართული, სერვისებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფას;

- 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან ინდივიდუალური ბუნებრივ გარემოში ვიზიტების გარდა, შესაძლებელია საჭიროების გათვალისწინებით დაგეგმილი პერიოდულობით, განხორციელდეს მცირე ჯგუფებში მუშაობა, სადაც მშობლის მონაწილეობა სავალდებულოა (არაუმეტეს 2 ჯგუფური მუშაობა თვეში);

- ჯგუფში ბავშვებისა და მშობლების წყვილთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს ხუთს, რომლებთანაც მუშაობს, სულ ცოტა, 2 პროფესიონალი ან პროფესიონალი და პარაპროფესიონალი, ჯგუფური ვიზიტების დაგეგმვისა და განხორციელებისას აუცილებელია ბავშვის განვითარების და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, თუმცა ჯგუფში ჩართული ბავშვების ასაკებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;

» **3 წლიდან 7 წლამდე ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან** (დაწყებიდან) ერთი წლის (თორმეტი თვის) განმავლობაში, მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან/ძირითად მზრუნველებთან/მინდობით აღმზრდელთან მუშაობას ბუნებრივ (უპირატესად სახლი ან/და ბაგა-ბაღი) გარემოში, ხოლო მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) მეორე წლიდან შესაძლებელია ბენეფიციარების ვიზიტები ცენტრში (მომსახურების მომწოდებლის მიერ შესაძლებლობისა და ბენეფიციარის მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლის/ძირითადი მზრუნველის.მინდობით აღმზრდელის სურვილის გათვალისწინებით) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს ბავშვებთან და მათ მშობლებთან ჯგუფური მუშაობა(არაუმეტეს 4 ჯგუფური მუშაობა თვეში) და ინდივიდუალური ვიზიტების ფარგლებში შემდეგ ღონისძიებებს:

» საჭიროებიდან გამომდინარე მცირე ჯგუფებში მუშაობას. ჯგუფური მუშაობის პროცესში მშობლის მონაწილეობა არ არის სავალდებულო,რათა მოხდეს ბავშვის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;

» ჯგუფში ბავშვებისა და მშობლების წყვილთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს ხუთს, რომლებთანაც მუშაობს, სულ ცოტა, 2 პროფესიონალი ან პროფესიონალი და პარაპროფესიონალი, ჯგუფური ვიზიტების დაგეგმვისა და განხორციელებისას აუცილებელია ბავშვის განვითარების და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, თუმცა ჯგუფში ჩართული ბავშვების ასაკებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს;

» ჯგუფური მუშობის პროცესში მშობლის მონაწილეობა არ არის სავალდებულო, რათა მოხდეს ბავშვის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. (არაუმეტეს 4 ჯგუფური მუშაობა თვეში)

» მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების/ძირითადი მზრუნველის/ მინდობით აღმზრდელის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას, ბავშვის წინასასკოლო და აკადემიური მზაობის, სოციალური და თვითორგანიზების უნარების განვითარების, სხვადასხვა წრეებში თუ სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით;

» იმ შემთხვევაში თუ ბავშვი სხვადასხვა მომსახურებაშია ჩართული, სერვისებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფას;

» ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად მშობლის/მინდობითი აღმზრდელის მომზადებას (მათ შორის- შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება და სპეციფიკური ზრუნვის სწავლება);

» მომსახურების გაგრძელების, შეწყვეტის ან ბავშვის სხვა მომსახურებაში გადამისამართების მიზნით ბავშვისა და მისი გარემოს ხელახალ შეფასებას ადრეული ინტერვენციის სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში. შეფასებიდან გამომდინარე დასკვნა ინახება ბენეფიციარის პირად საქმეში;

» 5 წლის შესრულებისთვის ჩათვლით მომსახურებაში ჩართული ყველა ბენეფიციარისთვის, დაფინანსებული მომსახურების (ვიზიტის) მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს. 5-დან 7 წლის შესრულების თვის ჩათვლით ბენეფიციარებისთვის მომსახურებაში ჩართვიდან (დაწყებიდან) ერთი წლის განმავლობაში, დაფინანსებული მომსახურების მაქსიმალური რაოდენობა თვეში შეადგენს 8-ს, მომსახურებაში ჩართვიდან მეორე წლის განმავლობაში 6-ს;

» ბავშვის და ოჯახის დახმარებას, რათა მათ მარტივად დატოვონ ადრეული განვითარების პროგრამა და ჩაერთონ სასწავლო დაწესებულებაში (საბავშვო ბაღში ან სკოლაში) სტანდარტით განსაზღვრულ ვადებში. გადასვლის გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს პროგრამის დატოვებინად 6 თვით ადრე ოჯახთან და ახალი მომსახურების წარმომადგენლებთან თანამშომლობით;

რა შემთხვევაში წყდება მომსახურეობა?

- ზედიზედ 2 თვის ვაუჩერის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურად გაუქმებას, გარდა შესაბამისი დაწესებულების ფუნქციონირების დროებითი შეჩერების შემთხვევებისა, რაზეც მიმწოდებელი მინიმუმ ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს/მიდნობით აღმზრდელს, სააგენტოსა და სამინისტროს;
- ვაუჩერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო.

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1.როგორ ვიპოვო ადრეული განვითარების მომსახურეობის მიმწოდებელი ჩემს რეგიონში?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

2. თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

---

3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

---

4. ვის მივმართო თუ შემიწყდა ადრეული განვითარების მომსახურეობის ვაუჩერი?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

---

5. ვის მივმართო თუკი ვიცი რომ ოჯახური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი შვილი ვერ ისარგებლებს ადრეული განვითარების ვაუჩერით გადაბმულად 2 თვის მანძილზე?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

---

6. ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება ჩემი შვილის ჩართვა ადრეული განვითარების პროგრამაში, ან არ ხდება ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

შენიშვნა: არსებობს რამოდენიმე მუნიციპალური დაფინანსების ქვეშ მყოფი ადრეული განვითარების ცენტრები. დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202